№ 159 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეოთხე

ფასი 1 მანეთი. კვირა, 20 ივლისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. საეალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლის ბაღი

კვირა 20 ივლისი

საღამოს 6 საათიდან დიდი სეირნობა, ლატარია-ალეგრა.

აუქციონი, კინემატოგრაფი: „სახალხო გვარდიის დღე". „26 მაისი" და საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნა".

კონცერტი—კაბარე: მონაწილეობენ: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ანდრონიკოვისა, ახალგაზრდა მგოსნები, მსახიობები, მინიატურისა, ცირკისა და სტომის სიმფ. ორკესტრი და ზურნა.

სახელმწიფო თეატრი: 12 საათზე საქართველოს წარმომადგენელი ბრიტანეთში დავით ლამბაშიძის მოხსენება: საერთაშორისო მდგომარეობა და დამოუკიდებელი საქართველო

მეორე ქართული კლუბი. სახელოსნო კლუბი. მუშათა კლუბი

წარმოდგენები, სეირნობა და ლოტო. დასაწყისი 6 საათზე

ბ ა ღ ე ბ ი: **მუშტაიდი, ნაძალადევი, ორთაჭალა, ავლაბარი.**

6 საათიდან დიდი სეირნობა, ლატარია ალეგრა და აუქციონი.

1257 **მთავარი მოამწყობი კომიტეტი**

კავკასია-შავი ზღვის საკავშირო სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების საერთო კრებაზე,

რომელიც 1919 წლის იანვრის 25 ს შესდგა, დადგენილ იქმნა: 1) გაიხსნას საზოგადოების მოქმედება, 2) აირჩეს გამგეობის წევრებათ ა. მ. ხოშტარია, ი. მ. შტრანგი, ა. ბ. აბრამოვიჩი, რ. მ. შტრანგი და ს. ი. გინზბურგი.

3) გადიდდეს ძირითადი თანხა 60.000.000 მანეთამდე. მეორე სერიის აქციების გამოშვებით სულ 3.000000 მანეთისა.

საზოგადოების გამგეობა მოთავსებულია ლერმონტოვის ქუჩა. № 9. გამგეობის ტელეფონი № 9—42. კანტორის ტელეფონი № 16—16. 971—3—1

ტფილისის ლითონის ქარხნის და ხოშტარიას და კამპანიის სამიწათ-მოქმედო მანქანების

და იარაღების ფაბრიკის ტფილისის სააქციონერო საზოგადოების გამგეობა აცნობებს ბ. ბ. აქციონერებს, რომ 1919 წ. აგვისტოს 20-ს დილის 12 საათზე, საკუთარ სახლში დანიშნულია არაჩვეულებრივი საერთო კრება ბ. ბ. აქციონერებისა შემდეგი საკითხების განსახილველათ: 1. 1918 წლის ანგარიში. 2. ძირითადი თანხის გადიდება. 3. გამგეობის ახალი წევრების არჩევნები. 4. საკითხები რომელიც აღიძრება საზოგადოების კრებაზე. აქციონერებმა, რომელთაც სურთ საზოგადო კრებაზე მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინონ თავის აქციები, ან ქციების შესანახავი ხელწერილები და ან აქციების გირაო საკრედიტო დაწესებულებებიდან მოცემული. 1247 3—1

ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობა

აცხადებს, რომ კვირას, 20 ივლისს, ერობის ბინაზე (რუსთაველის ქუჩა № 6), დილის 11 საათზე შესდგება კრება სოფ. დელისში (საბურთალოს მახლ.) სარწყავ არხების გაყვანის შესახებ. დაინტერესებულ პირთ გთხოვთ უეჭველათ მობრძანდეთ.

1238 2—1

ფოთის ქალაქის გამგეობისაგან.

ქალაქის ბაღების და პლანტაციებისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მებაღე-აგრონომი. პირობების გაგება და თხოვნების მიღება ქალაქის გამგეობაში. 1244 3-2

ფოთის ქალაქის გამგეობისაგან.

ფოთის ქალაქის გამგეობას ესაჭიროება მომავალ ენკენისთვიდან უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის გამგე-მასწავლებელი. ჯამაგირი 12.450 მან., ბინა, გათბობა და განათება. თხოვნები მიიღება ქალაქის გამგეობაში. 1245 3—2

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი

საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემისა.

1. ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამასი მილიონი მანეთისა.

2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებულ იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშუალებით ბონი გამოყიდულ უნდა იქნეს.

3. საქართველოს რესპუბლიკის ბონი უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ფულის ნიშნების და ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონის თანაბრად.

5. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს ერთის, სამის, ხუთის, ათის ოცდახუთის, ორმოცდაათის, ასის და ხუთას მანეთის კუპიურებისა.

6 საქართველოს რესპუბლიკის ბონი დამზადებულ უნდა იქნეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და გადაეცეს ტფილისის ხაზინას შესანახად და ხმარებისათვის გამოსაშვებად.

7. საქართველოს რესპუბლიკის ბონი, რომელსაც აკლია ერთი მესამედი ან ერთ-ერთი ხელ-მონაწერი ან ნუმერი უვარგისად ჩაითვლება და არ მიიღება.

8. ყალბი ბონის დამზადებისა ან გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით.

9. დეკრეტი ესე. შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 11-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

კოოპერატიულ ამხანაგობათა და კავშირების რეგისტრაციის ვადის 1917 წ. მარტის 20-ს კანონის მოქმედების განგრძობისა.

1. კოოპერატიულ ამხანაგობათა და კავშირების რეგისტრაციის ვადა, დადებული 1917 წ. მარტის 20-ს კანონით განგრძობილ იქნეს 1920 წ. იანვრის 1-დე.

2. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 15-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

გრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

18 ივლისი, 1919 წ., № 12.

პროფესორი სიმონ ლუკას ძე ავალიანი დაინიშნოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგად ამა 1919 წლის 17 ივლისიდან.

მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

მთავრობის საქმეთა მმართველის თანამდებობის აღმასრულებელი **დიდებულიძე.**

ოლქისა და საგანგებო სასამართლოთა პროკურორებს.

უკანასკნელ ხანებში ჩემ მიერ მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ბრალდებულთ, რომელთა საქმე ექვემდებარება საგანგებო სასამართლოს, ზოგიერთი გამომძიებლები და თვით სასამართლოც ანთავისუფლებს საპყრობილედან საქმის გარჩევამდე, წინააღმდეგ 21 მუხლისა საგანგებო სასამართლოს დებულებისა. ამ გვარ მოვლენას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რადგან 21 მუხლის მოთხოვნილება კატეგორიულია.

ამისდა მიხედვით ვაცნობებ ჩემდამი რწმუნებულ საპროკურორო ნაწილს სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და ძალთანავე მიიღოს ზომები, რომ ეს მოვლენა შემდეგში არ განმეორდეს და თვით სასამართლოს დადგენილება დაუყოვნებლივ განსაჩივრებულ იქნას პროტესტის სახით პალატაში.

ტფილისის სასამართლო პალატის

პროკურორი **ა. გელაზარაშვილი.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

15 ივლისის სხდომა.

კანონ-პროექტი პაპიროზის გილზზე და ქაღალდზე აქციზისა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი პაპიროზის გილზზე და ქაღალდზე აქციზის მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

კანონ-პროექტი ღვინის აქციზისა.

იმავე სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი ღვინის აქციზისა მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ტფილისის საბაჟოს მიერ ჩამორთმეულ კონტრაბანდულ საქონლის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადაცემა.

დროებით, აწინდელ საბაჟოს კანონის (მე-6 ერობის 1156 მუხ.) შესაცვლელად, ახალი კანონის გამომუშავებამდე—ნება მიეცეს ტფილისის საბაჟოს ჩამორთმეული კონდრაბანდული ხორბალი ან ფქვილი სიმინდის და პურის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის მაგიერ გადასცეს, საჯარო ვაჭრობის მოუხდენლათ, საზოგადო ან სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს იმ ფასათ, რომელიც დაწესებულ იქნება საბაჟოსა და მყიდველ საზოგადო თუ სახელმწიფოებრივი დაწესებულებების წარმომადგენლების ურთი-ერთ შეთანხმებით.

ახალი ნიხრი ტელეფ. სარგებლობისათვის

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ნიხრი ტელეფონით სარგებლობისათვის დამტკიცებულ იქნას ა/წ. 1 ივლისიდან. სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათათვის თვიურად შემოღებულ იქნას გადასახადი 300 მან., კერძო პირთა და სახელმწიფო დაწესებულებათვის კი 100 მან. თვეში. საქალაქოთაშორისო ტელეფონით სარგებლობისთვის წუთში ორი მანეთი.

საქალაქოთაშორისო ტელეფ. ხაზის გაყვანა

გადაიდოს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის განკარგულებაში ტფილის-სილნალ-თელავის შორის ტელეფონის ხაზის გასაყვანათ 117,000 მან. და 21,650 მან. 70 კ. ღირებული მასალა. სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

თიანეთის მაზრაში ტელეფ. ხაზის გაყვანა

გადაიდოს ათ-მილიონიან ფონდიდან ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის განკარგულებაში თიანეთის მაზრაში ტელეფონის ხაზის გასაყვანად 14,000 მან. და 4271 მან. ღირებული მასალა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამუშაო შესრულებული იქნება თვით მცხოვრებლების მიერ და მათივე ხარჯით იქნება შეძენილი ხარჯთ-აღრიცხვით, მცხოვრებთაგან შესაძენად, ნავარაუდევი მასალა.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

ინსტრუქციები ღალების ასაკრეფათ სამაზრო და სარაიონო ორგანოების დაარსების შესახებ.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ტფილისის მაზრის ერობას გადასცა შემდეგი ინსტრუქციები სამაზრო და სარაიონო ღალის ასაკრებ ორგანოების დაარსების შესახებ.

1) სასურსათო კრიზისის შესამსუბუქებლათ აღიარებულია, რომ საჯარო გადასახადი ერთ მეათედ სახნავ მიწებიდან მოიჯარადრემ აუცილებლათ ნატურით უნდა გადაიხადოს.

შენიშვნა: სათივე ადგილის მოიჯარადრეს ეძლევა მოსავლის ერთი მესამედიდან ნახევრამდე.

2) ამისთვის არსდება სამაზრო და სარაიონო ორგანიზაციები.

3) სამაზრო ორგანო შესდგება აგრარულ რეფორმების განყოფილების გამგის, საადგილ-მამულო ფონდის გამგის, გვარდიის შტაბის წარმომადგენელის და სარაიონო აგრარულ კომისიის ან ერობის წვრილი ერთეულის წარმომადგენელისაგან.

4) მაზრა დაჩქარებით იყოფა რაიონებათ, სადაც სდგება დროებითი სარაიონო ღალის

ამკრეფი კომიტეტი, რომელიც შესდგება ერთი რწმუნებულის, გვარდიის წარმომადგენელის და სარაიონო აგრარულ კომისიის ან ერობის წვრილი ერთეულის წარმომადგენელისაგან.

5) სამაზრო ორგანიზაციის მოვალეობაა მაზრის საჭიროთ რაიონებათ დაყოფა და თანახმათ ქვემო აღნიშნულ მუხლისა სარაიონო ღალის ამკრეფი კომიტეტების მოწყობა, მათი მოქმედების თვალ-ყურის გდება და სამინისტროში დრო გამოშვებით ცნობების მიწოდება.

6) სარაიონო კომიტეტები იკვლევენ რაიონში რამდენი ნაჭერი საფონდო მიწებია, რამდენია ზომით, ვის ხელშია დასამუშავებლათ და აგრეთვე მათი საშუალო მოსავალი; ადგენენ მისაღებ ხორბლისა და თივის რაოდენობის სიას; ართმევენ მოიჯარადრე გლეხები ხელწერილს გადაწყვეტილ ხორბლისა და თივის გადახდაში; ნიშნავენ პუნქტებს, სადაც ეს ხორბალი და თივა უნდა შეგროვდეს; უგზავნიან სამაზრო ცენტრს ყოველ კვირეულ მოქმედების მოკლე ანგარიშს და სხვა.

7) სარაიონო კომიტეტს კი, ყოველ სოფელში, სადაც საფონდო მიწებია, აკავს ღალის ამკრეფი, რომლის ჯილდოს საზღვრავს სარაიონო კომიტეტი ფულათ შეკრებილი ღალის რაოდენობის მიხედვით.

8) გვარდიის შტაბი პუნქტზე აყენებს დარაჯს საწყობის დასაცავათ და შეძლების და გვარათ უთმობს კომიტეტს გადასაზიდ საშუალებებს.

9) სასურსათო საბჭოს ევალება მისცეს ამ ორგანიზაციებს საჭირო რიცხვი ტომრებისა და საჭირო მასალებისა.

10) მთელი შეგროვილი პური შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას, რომელსაც ანაწილებს მიწათ-მოქმედების სამინისტრო.

მიწათ-მოქმედების სამინისტროსაგან.

1919 წ. 1 სექტემბრდან მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსდება ცხრა თვის კურსები ტყის გამგის თანაშემწეთა მოსამზადებლათ.

კურსებზე მიიღებიან მსმენელებათ ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არა ნაკლებ უმაღლესი დასაწყისი სწავლისა, უპირატესობა მიეცემათ სახელმწიფო ენის ცოდნეთ. თუ მსურველთ რიცხვი აღემატება 50 კაცს, მაშინ ატესტატების კონკურსი გაიმართება. კურს დამთავრებულნი მოვალენი იქნებიან იმსახურონ საქართველოს სატყეო დაწესებულებაში არა ნაკლებ ერთი წლისა. სწავლის ფასი 900 მან.

თხოვნები და სწავლა განათლების მოწმობების გამოგზავნა შეიძლება ამ მისამართით: საქართველოს ტყეთა ინსპექტორს. ქ. ტფილისი, პეტრე დიდის ქ., № 22.

ფრუნტის დღე

კვირას, 20 ივლისის ცერემონიალი.

1) ყულაბებით ფულის მოგროვება ქ. ტფილისის ყველა უბნებში.

2) დილის 10 საათზე ბავშვების პროცესია მუსიკით და ხოროთი, დროშებითა და ყვავილებით, ქალაქის ყველა უბნებიდან გაიმართება რუსთაველის ქუჩისაკენ, სადაც სახელმწიფო თეატრისა და ალექსანდროვის ბაღებში შესდგება ბავშვების დღესასწაული მრავალგასართობებით.

3) დილის 11 საათზე სამხედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოზის ლეონიდეს მიერ გადახდილ იქნება პარაკლისი საქართველოს ლაშქარის გამარჯვებისათვის და პანაშვიდი სამშობლოსათვის თავდადებულთა სულის მოსახსენებლათ, რის შემდეგ ტაძრის გალავანში გაიმართება ტფილისის გარნიზონის ჯარისა და სახალხო გვარდიის პარადი. პარადის დროს სამხედრო ტაძარის თავზე იფრენენ ჰაეროპლანი.

4) 12 საათზე სახელმწიფო თეატრში, საქართველოს ელჩი ინგლისში ბ ნი დავით ლამბაშიძე ფართო საზოგადოებისათვის წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა და დამოუკიდებელი საქართველო“.

5) საღამოს 6 საათიდან: მუშტაიდში, ორთაჭალაში, ავლაბარში, ნაძალადევში და ტფილისის ყველა კლუბებში სეირნობები გაიმართება ლატარია ალეგრით, კონცერტებით და წარმოდგენებით საუკეთესო არტისტებისა და ლიტერატურული ძალთა მონაწილობით. ზეიმი აყელგან დილის 5 საათამდის გასტანს.

6) ტრამვაის მიმოსვლა ქალაქში ნაშუალამევის პირველ საათამდი იქნება.

მომწყობი **კომიტეტი.**

დამფუძნებელი კრება.

ივლისის 18 სხდომა

თავმჯდომარეობს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე.

მდივნობს დამფუძნებელ კრების მდივნის ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

საბოლოო ტექსტი

ან. ხოლოდაშვილის ასული მოახსენებს კრებას საბოლოო ტექსტს დეკრეტისას და დაბა ონის სოფელ მოედნითურთ ქალაქონად გამოცხადების შესახებ და საბოლოო ტექსტს დეკრეტისას—საქართველოს ქალაქებისა და მაზრის ერობათა სასარგებლოდ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ერთდროულ სანიტარულ გადასახადების აკრეფის შესახებ.

სამხედრო კანონ-პროექტები.

დახურულ კარებში ზოგადათ განხილულ იქმნა კანონ-პროექტი სამხედრო ბეგრის და შეიარაღებულ ძალთა შევსების შესახებ, კანონ-პროექტი სამხედრო პირთა ხარისხების დებულების შეცვლის შესახებ, კანონ-პროექტი ოფიცრების, სამხედრო მოხელეების და სამღვდელოების ოვის ახალი ჯამაგირის შესახებ, კანონ-პროექტი ოფიცერთა და ჯარის-კაცთა ტანისამოსის ფორმის შესახებ, კანონ-პროექტი ჰაერში მფრინავთა ჯილდოს გადიდების შესახებ და კანონ-პროექტი სამხედრო ძალის რეორგანიზაციის შესახებ.

კანონ-პროექტი ხააქციზო და საპატენტო გადასახადის გადიდებისა.

ივანე ჯავჯანიძე მოახსენებს კრებას კანონ-პროექტის შინაარსს და აღნიშნავს, წარმოდგენილ კანონ-პროექტით საპატენტო გადასახადს უფრო რეგისტრაციისთვის აქვს მნიშვნელობა, ხოლო სააქციზო გადასახადი საგრძნობელ დახმარებას აღმოუჩენს ჩვენს გაჭირვებულ ხაზინას, დაბეგრილია უმთავრესად ფუფუნების საგნები. მარტო ნავთიდან ხაზინას შემოსავალი ექნება 4.800.000 მ., თამბაქოდან 24 მილ. მან.

კანონ-პროექტი კამათს არ იწვევს. მისი მუხლობრივი განხილვა მოხდება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

სენატის დებულების განხილვა.

ს. ჯაფარიძე აცნობს კრებას სენატის დებულებას. იგი ნათელ შტრიხებით აღნიშნავს დებულების მთავარ მუხლებს. იურიდიულ კომისიის მიერ წარმოდგენილ დებულების თანახმად სენატი უნდა დაარსდეს სექტემბერში. იარსებებს ორი დეპარტამენტი—სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეთა. სისხლის სამართლის დეპარტამენტში იქნება 5 სენატორი, ხოლო სამოქალაქო საქმეთა დეპარტამენტში 8. სულ 13 სენატორი. სენატორები აირჩევიან დამფუძნებელ კრების მიერ 2 წლით. დებულება იწვევს კამათს.

გ. გვაზავა (ერ. დემ.) წინააღმდეგია სენატორის ორი წლით არჩევისა. მისი აზრით, არჩეული სენატორის გადაყენება შეუძლებელია.

კამათში მონაწილეობას იღებენ: გრ. გიორგაძე, ევგ. ბეგეჭკორი, ბარათაშვილი, გობეჩია და მომხსენებელი.

დებულების მუხლობრივი განხილვა მოხდება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

დეკრეტი—სახელმწიფო ხაზინიდან 120.160 მან. გადადებისა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დასახმარებლად. შემდეგისთვის გადაიდო.

სხდომა დაიხურა 4 საათზე.

მუნიციპალური ცხოვრება

ჭიათურის თვითმართველობაში.

14 ივლისს ჭიათურაში თვითმართველობის ბინაზე მოხდა ქალაქის საბჭოს მორიგი კრება, რომელსაც დაესწრენ ქალაქის თავი პლატონ სპირიდონის ძე მოდებაძე, გამგეობის წევრნი: ევ. თოდუა და ის. ხარატიშვილი და 14 ხმოსანი. კრება გახსნა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ექიმმა სიმონ დავითის ძე ჯაფარიძემ, რომელმაც გულწრფელი მადლობით მიმართა ქალაქის საბჭოს იმ დადგენილებისათვის, რომელიც საბჭომ გამოიტანა 6 მაისის სხდომაზე (მილოცვა პარტიანი ტიფით განკურნების გამო) და დასძინა, რომ ის შემდეგშიაც არ მოაკლებს იმ მცირე ძალას, რომელიც მას დაუხარჯავს ქალაქის საკეთილდღეოთ.

საბჭოს მდივანმა ივ. წერეთელმა წაიკითხა წინა კრების ოქმი, რომელიც საბჭომ უცვლელად დაამტკიცა, რის შემდეგ საბჭო გადადის მორიგ კითხვების გარჩევაზე.

ქალაქის თავი პლატონ მოდებაძე მოხსენებას აკეთებს სესხის აღების შესახებ. მთავრობისაგან ნება დართულია მიეცეს ქალაქ ჭიათურას 5% ერთი მილიონი მანეთის სესხი ხუთი წლის საფუთო გადასახადის გარანტიით, და ამასთანავე ნება დართულია გადიდდეს ქალაქის სასარგებლოდ არსებული საფუთო გადასახადი ერთიდან ორ კაპიკამდე. ამას გარდა მას დავალებული ჰქონდა „ფონდოვის“ საწყობიდან ნივთების შეძენა, ნივთები შეუძენიათ და კიდეც მოუტანიათ ჭიათურაში. ყველა დავალებები ქალაქის გამგეობის საკუთრებით შეუსრულებიათ ქალაქის თავს გამგეობის წევრის ისიდორე ხარატიშვილის მეოხებით. საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს სახელით მადლობას უცხადებს დასახელებულ პირთ დავალებების პირნათლად შესრულებისთვის რასაც საბჭო ერთხმად ადასტურებს.

ვრცელ მოხსენებას აკეთებს სასკოლო კომისიის სახელით სასკოლო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ანთელიძე. სასკოლო კომისიას ქალაქის გამგეობასთან ერთად ამ საკითხის გამო რამოდენიმე კრება გაუმართავს. პირველი კრება სასკოლო კომისიას გამგეობასთან ერთად გაუმართავს 30 ივნისს, რომელზედაც კომისიას და გამგეობას პრინციპიალურათ გადაუწვეტიათ ქ. ჭიათურაში ახალი ტიპის გიმნაზიის გახსნა 5, 6, 7 და 8 კლასებით, 1 ენკენისთვიდან 1919 წ. კომისიას გაუთვალისწინებია, რომ ორი გიმნაზიის გახსნა, სავაჟო და საქალოსი ამ ჟამად შეუძლებელია, ამიტომ დაუდგენია სასკოლო კომისიას, გახსნილ იქნეს გიმნაზია შერეული ტიპის (ორთავე სქესისათვის), რომ შეძლება მიეცეს, როგორც მსურველ ქალთ, ისე ვაჟთ, მიიღონ საშუალო განათლება. პირველ საჭიროების (მოწყობისათვის) ხარჯებისათვის სასკოლო კომისიას საჭიროდ დაუნახავს გიმნაზიის ფონდის შემქმნელი კომისიის დაარსება, რომლისათვისაც შეუმუშავებია შემდეგი წესდება, რაც წარმოდგენილ იქნა საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

1) საგიმნაზიო ფონდის კომისიის მიზანია ქ. ჭიათურაში გიმნაზიის დაარსებისათვის ფონდის შექმნა.

2) ამ მიზნის განსახორციელებლად ის მართავს საღამოებს, წარმოდგენებს, ხელის მოწერას, მიმართავს ხოლმე სხვა და სხვა დაწესებულებებს ერთდროული ნივთიერი დახმარებისათვის და სხვა.

3) ფონდის კომისია მუშაობს სასკოლო კომისიასთან ერთად.

4) ფონდის კომისიას თავმჯდომარეობს სასკოლო კომისიის თავმჯდომარე.

5) თვითმართველობის სასკოლო კომისიის წევრები ესწრებიან ფონდის კომისიის სხდომებს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6) ფონდის კომისიის წევრებს იწვევს თვითმართველობის სასკოლო კომისია კოოპტაციით.

7) ფონდის კომისიის წევრთა რიცხვი განუსაზღვრელია.

8) ფონდის კომისიის მიერ შეკრებილი ფული შედის ჭიათურის ქალაქის გამგეობის სალაროში და მოხმარდება მხოლოდ გიმნაზიის დაარსების საქმეს.

9) გიმნაზიის ფონდის კომისიას უფლება ეძლევა გაიჩინოს ჭიათურა-საჩხერის რაიონის საზოგადოებებში თანამშრომელები.

10) ფონდის კომისია უქმდება გიმნაზიის დაარსებასთან ერთად და ზრუნვა შემდეგი მისი წარმატებასა და განვითარებისათვის ეკისრება ქალაქის თვითმართველობას.

ქალაქის საბჭოს გამოაქვს შემდეგი დადგენილება: „მოისმინა რა მოხსენება სასკოლო კომისიისა გიმნაზიის გახსნის შესახებ ქალაქის საბჭო ერთხმად ადგენს: გაიხსნას 1 ენკენისთვიდგან ქ. ჭიათურაში ახალი ტიპის 5, 6, 7 და 8 კლ. გიმნაზია შერეული, ორივე სქესისათვის, აღჭურვილი მთავრობის გიმნაზიის ყველა უფლებებით, როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებლებისათვის, წელსვე გაიხსნას ორი კლასი 5 და 6 თუ უკანასკნელში (მე 6-ში იქნება 20 მოწაფე) მაინც. გიმნაზია გაიხსნას ყოფილ სამრევლო სკოლაში. აღნიშნული სკოლის მასწავლებელი დათხოვნილი იქნეს 1 ენკენისთვიდან და მიეცეს მას სალიკვიდაციო თანახმად არსებული კანონისა, დაწყებითი სკოლა კი დახურულ იქნეს და მოწაფეები შეძლებისა და გვარად მიღებულ იქნენ ქალაქის საბჭოს სკოლებში. ნება მიეცეს ქალაქის გამგეობას გაიღოს შესაფერი თანხა წინასწარი ხარჯებისათვის. დაუყონებლივ შემუშავებულ იქნეს ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დასკვნით წარედგინოს ქალაქის საბჭოს დასამტკიცებლად მომავალ მორიგ კრებაზე. საფონდო კომისიის წესდებას ქალაქის საბჭო უცვლელად ამტკიცებს.

ხმოსანი გიორგი ანთელიძე ს. დ. ფრაქციის სახელით წინადადებას იძლევა: რადგან ეს კითხვა, თავდაპირველად, წესისამებრ, არ გარჩეულა საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში და გამგეობასაც მათი შეხედულება არა აქვთ, გადიდვას ეს კითხვა გასარჩევად მორიგ კრებამდე, და გადაეცეს განსახილველად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომელიც თავის მოსაზრებით გვეცნობება საბჭოს შემდეგ სხდომაზე. საბჭომ ერთხმად მიიღო წამოყენებული წინადადება და გადადო ამ კითხვის გარჩევა.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე **ს. ჯაფარიძე.**

დეპარტამენტის დაარსება.

მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა და გადაეცა დამფუძნებელ კრებას ქვევით მოყვანილი პროექტი.

ძირითადი დებულებანი დეპარტამენტის დაარსების შესახებ.

მუხ. 1. სახელმწიფო მმართველობის სხვა და სხვა დარგის გამგებლობისათვის არსდება დეპარტამენტები.

მუხ. 2. დეპარტამენტის საქმეების საერთო ხელმძღვანელობა და უმაღლესი გამგებლობა ეკუთვნის მინისტრს.

შენიშვნა: მინისტრების და მათ ამხანაგთა უფლებანი ცალკე კანონით განისაზღვრება.

მუხ. 3. უახლოესი და პირდაპირი გამგებლობა დეპარტამენტისა ევალება დირექტორს.

მუხ. 4. მინისტრის წარდგენით რესპუბლიკის მთავრობა ნიშნავს და ითხოვს დეპარტამენტის დირექტორს.

მუხ. 5. დეპარტამენტის დირექტორი მთავრობის სხდომებს ესწრება სათათბირო ხმით და მისივე მოვალეობას შეადგენს მთავრობას მოახსენოს დეპარტამენტის ყველა ქვემდებარე საქმე.

მუხ. 6. მინისტრის დავალებით დეპარტამენტის დირექტორს შეუძლია საკანონმდებლო დაწესებულებასა და მის კომისიებში დეპარტამენტის საქმეთა შესახებ წარადგინოს მოხსენება-განმარტებანი.

მუხ. 7. დეპარტამენტის დირექტორის არყოფნის, ან მისი ავადმყოფობის დროს, დეპარტამენტის მმართველობა ევალება იმავე დეპარტამენტის რომელსამე ნაწილის უფროსს ან საგანგებოდ მინისტრის მიერ დანიშნულ პირს.

მუხ. 8. დეპარტამენტის დირექტორის უფლება მოვალეობას შეადგენს:

ა) დეპარტამენტის ყველა მორიგ საქმის გამგებლობა, გადაწყვეტა და მათ შესახებ მიწერ-მოწერა.

ბ) დანიშვნა და დათხოვნა დეპარტამენტის მოსამსახურეებისა:

შენიშვნა: ის თანამდებობანი, რომელზედაც დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით შეიძლება დანიშნულ იქნენ მოხელენი. ყოველ ცალკე დეპარტამენტისათვის განისაზღვრება კერძოთ;

გ) ყველა ხელქვეით დაწესებულების თვალყურის დევნა, მათი უმოქმედობისა ან კანონის დარღვევისა გამო პასუხის მოკითხვა,

დღეს 20 ივლისს ფრონტის დღეა! მოქალაქენო! დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დამცველ არწივთ, ლომ-გულ მებრძოლებს, ესაჭიროებათ ძმური დახმარება. ყველამ ხელი გაუწოდეთ ფრონტს! არ დაიშუროთ თქვენი წვლილი! თქვენ უნდა დაამტკიცოთ თქვენი სიყვარული და თანაგრძნობა ფრონტისადმი, რომელიც თავგამოდებით და გმირულად იცავს ჩვენს ქვეყანას სასტიკი მტრის შემოსევისაგან. დაეხმარეთ ფრონტს რითაც შეგიძლიათ!

სამსახურიდან გადაყენება და პასუხისგებაში მიცემა მოსამსახურე პირთა თანამდებობითი დანაშაულისთვის;

დ) მოქმედ კანონთა მიხედვით სადაო საკითხთა გადაწყვეტა, რომელნიც დეპარტამენტში მოიდგ საქმეთა წარმოების დროს წარმოსდგება;

ე) სათანადო ზომების მიღება იმ მოქმედ კანონთა, მთავრობის და მინისტრის განკარგულებათა სისრულეში მოსაყვანათ, რომელნიც დეპარტამენტის კომპეტენციას შეადგენს;

3) დეპარტამენტის განყოფილებათა შორის საქმეების განაწილება და საქმეთა კუთვნილებისა და მსვლელობის გამო მათ შორის მომხდარ უთანხმოების გარჩევა;

თ) რევიზიის მოხდენა პირადათ, ან საგანგებოდ დანიშნულ პირთა შემწეობით, მის ხელქვეით დაწესებულებების და თანამდებობის პირთა საქმის და ანგარიშის წარმოებისა.

მუხ. 9. ხელისუფლების გადამეტებისა და სხვა თანამდებობითი დანაშაულისათვის დეპარტამენტის დირექტორი პასუხისგებაში მიეცემა მოქმედ კანონთა მიხედვით.

მუხ. 10. დეპარტამენტის ცალკე ნაწილები ექვემდებარება პირდაპირ დეპარტამენტის დირექტორს და მათი მართვა-გამგებლობის წესი განისაზღვრება საკუთრივ ამისათვის დაწესებულ კანონით, დებულებით და განკარგულებით.

მუხ. 11. დეპარტამენტის საქმეთა განსახილველად არსდება დირექტორის თავმჯდომარეობით კოლეგიალური ორგანო, რომელიც განსაკუთრებული დებულების თანახმად მოქმედებს.

ერობა

საქართველოს სამაზრო ერობების წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევის საკითხი.

საქართველოს ერობათა ცენტრალურ ბიუროს გამგეობამ შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა სამაზრო ერობების გამგეობებს საქართველოს სამაზრო ერობების წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ:

„თანახმათ სამაზრო ერობების პირველი ყრილობის დადგენილებისა, რომელიც მოხდა 21—27 ამა წლის თებერვალში, უნდა იყვეს ამ მიმდინარე ზაფხულში მოწვეული ქ. ტფილისში სამაზრო ერობების წარმომადგენელთა ყრილობა. ამას ბიურო აცნობებს ერობათა გამგეობებს და თავისი მხრივ გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ყრილობის პოწვევა უნდა მოხდეს აგვისტოში," მაგრამ თუ რომელ რიცხვში ბიურომ სცნო საჭიროთ უწინარეს შეეკითხოს თვითონ ერობების გამგეობებს, თუ როდის უფრო სასურველი იქნება მათთვის ყრილობის მოწვევა, და როდესაც ბიურო მიიღებს სათანადო პასუხს მას შემდეგ დანიშნავს ყრილობის დღეს.

რადგანაც ამ ყრილობაზე დღიურ საკითხში იქნება დასმული მეტად საყურადღებო კითხვა, როგორც არის ერობების ცენტრის შექმნა, ამიტომ ბიუროს აზრით ყრილობა, უნდა შესდგეს ვრცელი და ავტორიტეტიული, რომელსაც შეეძლოს გამოსთქვას ერობის ნამდვილი აზრი, რის გამოც ბიურო სცნობს, რომ თვითეულმა ერობამ უნდა წარმოგზავნოს არა ნაკლებ სამი წარმომადგენელისა, რომელნიც თუ მოსახერხებელი იქნება არჩეულ უნდა იყვნენ თვით ხმოსანდა ყრილობის მიერ.

ამიტომ ბიურო გთხოვთ დაჩქარებით უპასუხოთ შემდეგ საკითხებზე:

1) რომელ რიცხვში უფრო სასურველია დაინიშნოს აღნიშნული ყრილობა.

2) რამდენ დელეგატს სცნობენ გამგეობები საჭიროთ ამ ყრილობაზე დასასწრებლათ და 3) რა საკითხია კიდევ საჭირო დაისვას ყრილობაზე დღიურ წეს-რიგში.

უკანასკნელი გადაწყვეტილება როგორც ყრილობის დღისა, აგრეთვე წეს-რიგის შესახებ გეცნობებათ დეპეშით მას შემდეგ, როდესაც ბიურო მიიღებს პასუხს ზევით აღნიშნულ კითხვებზე."—

აცრა ხოლერის წინააღმდეგ.

ტფილისის მაზრის ერობის სამედიკო-სასანიტარო განყოფილება აწყობს მაზრაში ხოლერის საწინააღმდეგო აცრას. შრატი უკვე მიღებულია და იგზავნება დანიშნულებისამებრ.

კანონ-პროექტი ყვავილის სავალდებულო აცრის შესახებ.

ექიმმა ლომოურმა რესპუბლიკის ერობების ექიმთა ყრილობის დავალებით შეადგინა კანონ-პროექტი ყვავილის სავალდებულო აცრის შესახებ. აღნიშნული კანონ-პროექტი მთავრობას გადაეცემა დასამტკიცებლათ.

საერობო ექიმთა პროფესიონალური კავშირი.

რესპუბლიკის საერობო ერთეულებებში დაარსდა საერობო ექიმთა პროფესიონალური კავშირები. ასეთივე კავშირის დამფუძნებელი კრება შესდგა ტფილისის მაზრის საერობო ექიმთა მიერ კვირას 13 ივლისს. კრებამ აირჩია გამგეობა.

ადერბეიჯანში

საქონლის გაცვლა-გამოცვლა ყუბანთან

ადერბეიჯანის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ აცნობა ყუბანის სანაპირო მთავრობასთან ქ. ეკატერინოდარში ადერბეიჯანის წარმომადგენელს, რომ ყუბანთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხის განხილვის დროს, ადერბეიჯანის მთავრობამ უფრო მიზან შეწონილათ სცნო, მიანდოს გაცვლა-გამოცვლის მოხდენა კერძო პირთა ინიციატივას. ამ გაცვლა-გამოცვლის განსახორციელებლათ საჭიროა ყუბანის სანაპირო მთავრობის დახმარება, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული მთავრობა და მთავრობის ფართო წრეები გაეცნობა ადერბეიჯანის მთავრობის ამ საკითხზე შეხედულებას. ამასთანავე სამინისტრომ ისარგებლა სამინისტროს აგენტის კოტკოვის თავის პირად საქმეების გამო გამგზავრებით და დაავალა მას გააცნოს ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაზრის მდგომარეობა და შეკრიბოს მისი დახმარებით საჭირო მასალები ბაქოსთვის.

სესხი.

ქალაქის გამგეობამ მიმართა ფინანსთა, შრომის და შინაგან საქმეთა მინისტრებს თხოვნით: მხარი დაუჭირონ ქალაქის შუამდგომლობას მთავრობის წინაშე, 25 მილიონიანი სესხის შესახებ, რადგანაც მოახლოვდა თვის 20 რიცხვი და გამგეობამ უნდა დააკმაყოფილოს ქალაქის მოსამსახურეები, რისთვისაც საჭიროა 480,000 მან. ეს გარემოება შექმნის დიდ დაბრკოლებას ქალაქისთვის, თუ მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული არ იქნება.

საქონლის შეზიდვა.

ვაჭრობის სამინისტროს სტატისტიკურ განყოფილების ცნობით 15 ივლისიდან ბაქოში შეზიდულა: პური—264 ფ., კარტოფილი—666 ფ, შაქარის ფხვნილი—780 ფ., ფეიქარი—1,599 ფ, და რკინის ნაწარმოები—516 ფუთი.

ნავთის გაზიდვის საკითხი.

ნავთის მწარმოებელთა ყრილობის საბჭომ აღძრა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ნავთის ვოლგის მხარეზე გაზიდვაში დახმარების შესახებ, ამის გამო ნავთის მრეწველთა ყრილობის საბჭოს წარმომადგენელმა ინახულა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ფინანსიურ ეკონომიურ კომიტეტის თავმჯდომარე. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მისცა სიტყვა ყრილობის საბჭოს წარმომადგენელს, რომ მთავრობა მიიღებს ყველა მისგან დამოკიდებულ ზომებს, რათა ასტრახანზე ნავიგაციის გახსნამ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოიტანოს, მხოლოდ მთავრობა ვერ მიიღებს ისეთ ზომებს, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. კერძოთ ეს ეხება ყრილობის საბჭოს შუამდგომლობას ასტრახანში გასატან ნავთზე და ნავთის წარმოებაზე აქციზის გადათვალიერებას. რაც შეეხება აქციზის შესატანათ შეღავათიან პირობებს და ნავთის გირაოთ მიღებას და აგრეთვე ქარხნის და წარმოების ქონების მიღების საკითხს, მთავრობის თავმჯდომარემ აღუთქვა, რომ ეს უკანასკნელი იქნება მთავრობის მიერ დადებითად გადაწყვეტილი.

სომხეთის პასუხი ადერბეიჯანს.

ადერბეიჯანში მყოფმა სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა თავისი მთავრობის პასუხი იმ საპროტესტო ნოტის გამო, რომელიც ადერბეიჯანის მთავრობამ სომხეთს გაუგზავნა ბიუქ-ვედის რაიონში მუსულმანთა აწიოკებისა და სამხედრო მოქმედების შესახებ. პასუხში ნათქვამია, რომ ეს რაიონი სომხეთის უდავო ტერიტორიაში შედის და იქ მომხდარ ამბების გამო ადერბეიჯანის პროტესტი ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევას ჰნიშნავსო. ჩამოთვლილ მიზეზებიდან ირკვევა, რომ ბიუქ-ვედისა დავალურ შუა ივლისის პირველს მუსულმანებმა მოჰკლეს 9 ჯარის კაცი და 12 სომეხი გლეხი, ხოლო როცა სომხეთის მთავრობამ იქ დამსჯელი რაზმი გაგზავნა, თათრებმა ალყა შემოარტყეს და მოჰკლეს 5 ოფიცერი და 30 ჯარის კაცი, ხოლო დასჭრეს 7 ოფიცერი და 120 ჯარის კაცი. მუსულმანთა მხრივ ხსხვერპლის რაოდენობა პასუხში არ არის მოხსენებული.

ქართველები და მათი მოსახლეობა სპარსეთში.

(ისტორიული მიმოხილვა)

წელს შესრულდა 300 წელიწადი მას შემდეგ, რაც წყეულმა და შეჩვენებულმა შაჰ-აბაზმა ქართლი და კახეთი აიკლო. შაჰ-აბაზის წადილი იყო ქართლის ამოწყვეტა და კახეთის აყრა და სპარსეთში გადასახლება. მაინც იჯერა ბოროტმა გული, უპოვნა ქართველებს მარჯვე დრო და მთელი კახეთის ნახევარი, აწინდელ ბორჩალოს მაზრიდან აჰყარა ქართველები და სპარსეთში გადაასახლა. ამათ მაგიერ ბორჩალოს მაზრაში თათრები მოიყვანა და დაასახლა.

შაჰ-აბაზისაგან გადასახლებულ ქართველთა რიცხვი ზოგის თქმით 120 ათასი სულია, ზოგის თქმით კომლი, ზოგის თქმით 80 ათასი კომლი და ზოგის თქმით 100 ათასი კომლი თუ სული, ჩვენთვის ორივ დიდი რიცხვი გახლავსთ, სულათაც და კომლეურათაც ხომ მეტი უბედურობა იქნება, რადგანაც მაშინდელი ოჯახები დიდის რიცხვისაგან შესდგებოდა.

ვახუშტის აქტით, შაჰ-აბაზის მამასაც გადუსახლებია ქართველები სპარსეთში. ვახუშტის ცნობით, გადასახლებულთა რიცხვი 15 ათასი კომლი ყოფილა, იგი სწერს:—„თამაზ ხანმა აჰყარა ქართველნი მრავალნი სულნი და წარავლინა ხორასანს" ახლა აქ მოვსთვლით სხვა ცნობებსაც: შაჰ ისმაილს და იაყებ ყაენისაგან 25 ათასი ქართველია სპარსეთში გადასახლებული.

შაჰ-აბაზს გადუსახლებია 50 ათასი ქართველი, ასანმა გადაასახლა 5 ათასი კომლი ქართველნი, ესენი დაასახლა გილანის თემში, 1840 წლამდე აქ ესენი ქართულათ ლაპარაკობდენ, მერე დაკარგეს ქართული ენა, ამათ „გურჯებს" უწოდებენ სპარსელნი, ე. ი. ქართველი. ფეიქარ ხანმა გადაასახლა 30 ათასი ქართველი, უსეინ ყაენმა წაიყვანა 3000 ქართველი, შაჰ ნადირმა წაიყვანა 5000 ქართველი, მირვეისმაც გადაასახლა, ამათი რიცხვი არ სჩანს. 1795 წ. სპარსთაგან წაყვანილ იქნა 20,000 ქართველი.

მოკლეთ რომ ვიანგარიშოთ, სპარსეთში ქართველთ რიცხვი მილიონზე მეტია გადასახლებული, სპარსნი უმთავრესათ ქართველებს მიტომ უფრო ეტანებოდენ, რადგანაც ქართველთ შვილებით თვის მოდგმას და ჯიშს ამშვენიერებდენ. დიმ. ბაქრიძის სიტყვით, სპარსელებს XVII საუკუნეში, შაჰ-აბაზის დროს, მარტო ქსნის საერისთაოდან წაუყვანიათ 1000 კომლი ქართველი, საციციანოდან 500 კომლი ქართველი, ავალიშვილის საყმოდან 5000 კომლი. დიმ. ბაქრაძე სწერს: აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მაშინდელი ოჯახის წევრნი 10-15 სულისაგან შესდგება და არა ეს ისე, როგორც დღეს არის, ამიტომ სათქმელია, რომ მეტათ დიდი რიცხვია ქართველთა წაყვანილი სპარსეთში.

შაჰ-აბაზის ომში, ქართველთ რიცხვის დაზოცილა 70 ათასი სული, მარაბდის ომში 15 ათასი სული. ამათ გარდა სპარსეთში წაყვანილების რიცხვიდამაც ბევრი გაწყდა გზაში, მიზეზი ამისი ის იყო, რომ შაჰ-აბაზის ბრძანებით იმოდოლა ქართველობას სპარსეთში ფეხით მოუხდათ სიარული და მგზავრობა, ეს გარემოება ქართველთათვის კი აუტანელი იყო, აი რათა:

მგზავრებში ერევნენ მოხუცნი, სნეულნი, ორსული ქალები, წვრილ ყმაწვილების დედები, ამათი მგზავრობა იყო საცოდაობით სავსე. ამათი მგზავრობა კარგათ გაიცნეს სპარსეთში მცხოვრებ ლათინის ყველა ორდენის მისიონერებმა და სხვათა შორის პატრი დელავალე სწერს შემდეგს:

„სპარსეთის სამხრეთ ნაწილის ქალაქების კათოლიკების მთავარი ვიკარი იყო პატრი ფრა გრიგორიანო ორსინო დომინიკიანელი, ამ პირმა რომში მიიტანა ვრცელი მოხსენება ქართველთ შესახებ, აი ესეც ამ მისიონერის სიტყვები:

„ქართველთ დიდს გარდასახლებას მოჰყვა საზარელი წყვეტა ქლეტა, რამდენი სიკვდილი გაპირვებისაგან, რამდენი ჩვილი ყმაწვილები დაახრჩეს თავიანთ მშობლებმა, ან წყალში ჩააგდეს, რომ ისინი სასიცოცხლო აღარ იყვნენ, მხედრებს არა ერთხელ უვლიათ ქართველთ მიცვმლებულთა გვამებზე, რამდენი მიცვალებულის გვამი მგელს, ძაღლს და ნადირს უხრია და უგლეჯ-უჯიჯგნია, ეს ხდება იმიტომ, რომ მგზავრ ქართველებს ვინც ავათ უხდებოდათ გზაში, ისინი თან აღარ მიჰყვანდათ და გზაში სტოვებდენ, ესენი აქ გზაში იხოცებოდნენ". იგივ მისიონერი ამბობს:

„რამდენჯერ მამა შვილს, ქმარი ცოლს, ძმა დას მოაშორეს და წაიყვანეს სხვა და სხვა შორის ქვეყნებში ისე, რომ დაშორებულთ იმედიც აღარ შერჩენოდათ როდისმე ერთმანეთის ნახვის, ამ სამწუხარო შემთხვევაში რამდენი ქართველი ქალი და კაცი იყიდებოდა ყველგან სპარსეთში პირუტყვებზე უფრო იაფათ, რამდენი ამისთანები მოხდა ღირსი შებრალებისა, მაგრამ ვინ მოსთვლის ყველას თქვენის უნეტარესობის და წმიდის ფერხთა წინაშე“.

ასეთის მაღალის სიბრალულით აღგვიწერენ კათოლიკის ყველა ორდენის მისიონერები ქართველთა გადასახლებას საქართველოდან სპარსეთში. პატრი დევალალე პაპს ურბან მერვეს შემდეგ ცნობას სწერს რომში: „ქართველთაგან სპარსეთში იყო შემდგარი ცხენოსანთა ლაშქარი, 30,000 კაცისაგან, ესენი მეტად ხელ მარჯვე მებრძოლად ირიცხებიან, ამათ გარდა სპარსეთში, ყველა დიდ კაცის ოჯახში მონებათ და მოსამსახურეებად სულ ქართველთ შვილები იყვნენ, ამოდენა ქართველთაგან დაიღუპნენ სულ, ძალით სულ თათრის სჯულზე გადაიყვანესო. ზოგნი კი კათოლიკობას შეერთებიან, ზოგნი გრიგორიანობას, ზოგნიც ნესტარიანებს.

II

შაჰ-აბაზმა ბოროტებით ყველა მტრებს გადაუარა, უმთავრესად კი მისი მტრობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თეიმურაზ კახთა მეფემ და ლუარსაბმაც რუსეთში, მოსკოვის მეფეებს მიმართეს დახმარების სათხოვნელად, რომ ქრისტიანი მეფენი ხართ და გვიშველეთ, რომ სპარსეთს თავი დავაღწიოთო. ამიტომ უფრო გაეცეხლდა შაჰ-აბაზი და ვიდრე რუსის მოციქულები შაჰ-აბაზთან მივიდოდნენ საშუალაცოთ, მანამდის შაჰ-აბაზმა ლუარსაბ მეფე დაარხჩობინა, ქეთევან დედოფალი შანთებით აწამა და თეიმურაზის ორი ვაჟი არჩილი და ლევანიც საჭურისი ჰყო, ამით დაიხოცნენ ეს საბრალოები, ყველა ამიერიდან შაჰ-აბაზმა მთელი ქართლი და კახეთიც აიკლო და სულ სპარსეთში გადაასახლა. შაჰ-აბაზის დედა ქართველი ქალი იყო, დედამ დასწყევლა შაჰ-აბაზი დიდათ საქართველოს აოხრებისათვის. მაინც შაჰ-აბაზი ბოლოს ხალხმა მოჰკლა თეირანში.

მოკლეთ ითქმის, რომ შაჰ-აბაზმა ქართლი და კახეთი აიკლო მოსკოვის ქრისტიან მეფეთა ჯიბრით. შაჰ-აბაზი ქართველთა დაუძინებელ მტრად გახდა, ეს დესპოტი სპარსეთში ჩარეკილ ქართველებს ასახლებდა ისეთ ადგილებში, რაც სპარსთათვის უვარგისი იყო და გამოუსადეგი, ანუ ისეთ ადგილებში ასახლებდა, საიდანაც ქართველები ვეღარსად შესძლებდენ გასვლას, ან საქართველოსაკენ გაპარვას, ასეთი ადგილები ყოფილა ინდოეთის საზღვრებისაკენ ფრეოდანს, ანუ ფერეიდანს, ფარსისტანს, მაზანდარანისაკენ, ვინ იცის კიდევ სადა და რომელ მიკარგულ კუთხეებში, ბოროტი შაჰ-აბაზი ამას მიტომ უშვებოდა, რომ ეგები ქართველებს ასეთის სიძნელის წყალობით საქართველო და ქართველობა დავიწყებოდათ და რაც შეიძლებოდა ისინი მალე გათათრებულიყვნენ.

ჩვენდა სამწუხაროდ, სპარსელ ქართველთა ცნობების ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით, ვიცოდით მხოლოდ ის, რომ შაჰ-აბაზმა ქართველები სპარსეთში გადაასახლა, ხოლო ესენი სად სცხოვრობდენ, ამის ცნობები კი არა ვიცოდით რა, როგორც იქნა და 1870 წელს, ამ ბედშავ ქართველთ ცხოვრების შესახებ ზოგი რამ ცნობები აღმოჩნდა, ამას შემდეგ მოვიყვანთ, შეიძლება დღეს კიდევ სხვა და სხვა ცნობები აღმოჩნდეს.

(გაგრძელება იქნება)

მილიციაში

სისხლის სამართლის მილიციაში.

გაზეთების ცნობით, ქ. ტფილისში აკოფოვის შეპყრობის გამო, გვთხოვენ შევიტანოთ შემდეგი შესწორება: ჯერ ერთი აკოფოვი არ არის არც მილიონერი და არც მდიდარი, პირიქით მისი შეძლება მეტათ მცირეა, მეორეც ის, როგორც თვით ამ საქმის მდგომარეობიდან სჩანს გაზეთების ცნობით, არ შეიძლება დარწმუნებით ითქვას რამე არა თუ შეპყრობის, არამედ დაკარგვის შესახებაც, რადგან არშაკ აკოფოვი, რომელიც ქვეითათ მიდიოდა ჩამორჩა თავის ძმას ეგორს და აქამდი არ დაბრუნებულა შინ. ყველა ზემო აღნიშნული აღწერილია მის ძმის ეგორის სიტყვებით, რომელსაც არაფერი არ უთქვამს არავითარ დატუსაღებაზე, მხოლოდ განაცხადა დაკარგვის შესახებ. ზემო აღნიშნულის მოთავსებას გვთხოვენ კომპეტენტური მხარეები, მით უფრო, რომ თვით სისხლის სამართლის მილიციის უფროსის შეხედულება ამ ჯერ ჯეროობით ბნელ საქმეზე, ეთანხმება ზემო აღნიშნულს.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ქალაქ ტფილისის მესამე სამომრიგებლო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ა. ა. ბეგიჩკორი აცხადებს, რომ 1919 წელს ივლისის 21, დილის ათ საათზე ქ. ტფილისის მესამე სამომრიგებლო განყოფილების ეზოში მოხდება საჯარო ვაჭრობა გარდაცვალებულ მიხეილ და ალექსანდრე ჩისლოვების მოძრავ ქონებაზე. ვაჭრობა მოხდება ლავრენტი მან ჯავიძის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქონება შეიცავს ნოხებს და სხვა ავეჯს.

932 1—1

ქალ. ტფილისის 21 უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმათ 1919 წლის ივლისის 14-ს დადგენილებისა, იწვევს გარდაცვალებულ ნიკოლოზ ჩაჩანიძის მემკვიდრეებს, რათა მათ უფლება განაცხადონ ჩაჩანიძის ქონებაზე მე—1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

949 1—1

ტფილის სასამართლოს პალატა სასამ. დამფ. წესდ. 382 მუხლის რიგით აცხადებს, რომ დასახელებულ პალატის ოლქის ნაფიც მსაჯულთა საბჭოს მიერ მიღებული სამსონ პლატონის ძე დადიანი, ამა წლის 29 ივნისის საერთო კრების დადგენილებით შეტანილია პალატაში მომუშავე ნაფიც ვექილთა სიაში და მიღებული აქვს დაწესებული ფიცი.

916 1—1

ახალ-ქალაქის სამომრიგებლო ნაწილის მომრიგებელი მოსამართლე, იწვევს სოფელ ხორენის, ეშეტონის საზოგადოების, ახალ-ქალაქის მაზრის მცხოვრებ გარდაცვალებულ მონანასა აკოფის ძე სარქისიანცის მემკვიდრეებს, რათა მან განაცხადონ თავისი უფლება სარქისიანცის ქონებაზე მე—1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

1227 1—1

ახალ-ქალაქის სამომრიგებლო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს, სოფელ ხორენის ებტონის სოფლის საზოგადოების, ახალ-ქალაქის მაზრის მცხოვრებ 1918 წლის მაისში გარდაცვალებულ ისრ. ამბარის ძე ფოლანიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ უფლება გააცხადონ ფილანიანცის ქონებაზე მე—1241 მუხლ. აღნიშნულ ვადაში.

1227 1—1

ახალ-ქალაქის სამომრიგებლო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მცხოვრებ სოფელ ხარენში ებტონის სასოფლო საზოგადოების, ახალ-ქალაქის მაზრაში 1918 წლ. მაისში გალდაცვალებული ისრაილ ამბარის ძე ფილანიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ფილანიანცის ქონებაზე მე—1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში.

1227 1—1

ზესტაფონის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმათ თავისი დადგენილებისა ოთხ ამა ივლისისა 1919 წლისა, იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის სამსონ დავითის ძის მელაძისას, რათა ექვსი თვის განმავლობაში, დღიდან გაზეთში გამოცხადებისა, წარმოადგინონ თავიანთი უფლებები ქონებაზედ, რაიცა დარჩა ზემორე აღნიშნული სამსონ დავითის ძის მელაძის გარდაცვალების შემდეგ, ზესტაფონის უბნის მომრიგებელი.

1233 1—1

ქალ. ტფილისის მე—21 უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 1919 წ. ივლისის 14-ს დადგენილებისა იწვევს, გარდაცვალებულ ხაჩატურ ხეჩანიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ უფლება განაცხადონ ხეჩანიანცის ქონებაზე მე—1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

950 1—1

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთები №№ 81,782, 82,078 100 და 150 მან. ღირებული.

953 3—1

დაკარგულია სიმწიფის მოწმობა № 885 მიღებული ტფილისის II გიმნაზიის კანცელარიიდან 1916 წ. ნიკოლოზ გორშკოვის სახელზე. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს.

967. 3—1

დიმიან სამუელის ძე ემელიანენკო აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი № 4224, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

974. 3—1

ავკარმე ქუთაისის რეალურ სამოსწავლებლო დირექტორის მიერ მოცემული მოწაფეობის მოწმობა № 51. ამ დოკუმენტის განახლების გამო, დაკარგული გაუქმებულად ჩაითვლება.

970. 3—1

მიხგილ ალექსის ძე ბუგიანოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებლის კანცელარიიდან მიღებული ატესტატი № 329, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს.

973. 3—1

ვოლგა-კამის საკომერციო ბანკი ტფილისში

ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოსკოვის სავაჭრო ბანკის საწყო ბილეთი № 354255 ღირებული 10.000 მან. (ათი ათასი მანეთი) მარიამ სერგის ასული კოჩარიანცის სახელზე, ეს ბილეთი 1917 წლის ნოემბრის 23-ს ვოლგა-კამის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფილებამ გაუგზავნა მოსკოვის განყოფილებას თანხის საინკასოდ

969. 3—I

ტფილისის 21 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ ნდობის ფურცელი ზაქარია ივანეს ძე კვირიკაძის მიერ თავის ცოლის თამარა კვირიკაძის სახელზე გაცემული, რომელიც განცხადებული იყო ტფილისის ნოტარიუს სტრახოვთან, 1919 წლის მარტის 29-ს და შეტანილი იყო № 1989 რეესტრით, 1929 წლის ივნისის 2-ის დადგენილების თანახმად გაუქმებულია.

967. 1—1

პოლკოვნიკმა ვახტანგ დიმიტრის ძე ნაცვლიშვილმა ივნისის 19-ს 1919 წლისას შემოიტანა ურბნისის საეპარქიო სასამართლოში თხოვნა, რომ მისი ცოლი მარიამ ედუარდ ფუქსის ასული, რომელზედაც მან იქორწინა აპრილის 25 დღესა 1904 წელსა უკვალოდ დაიკარგა მაისის 25-დან 1914 წლისა ქ. ტფილისიდან, რის გამო იგი, ნაცვლიშვილი, თხოულობს მასთან განქორწინებას, ყველა ვინც კი იცის დაკარგული მარიამ ედუარდ ფუქსის ასულის ნაცვლიშვილის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს ურბნისის საეპარქიო სასამართოს დასახელებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები ერთს თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა „საქართველოს რესპუბლიკაში“.

1254. 1—1

დავკარგე მატრიკული (зачетная книжка) № 177. მოცემული ტფილისის პოლიტეხნიკუმიდან. მპოვნელს ვსთხოვ დააბრუნოს პოლიტეხნიკუმის კანცელარიაში (არტისტიულ საზოგადოების შენობა რუსთაველის ქ.) სტუდენტი ქალი ელისაბედი იოსების ასული მირიანაშვილი.

893. 3—1

23 ამა თვის, დილის 10 საათზე პირველ ცხენოსან რაზმის შენობის მოედანზე (ნავთლუღში) გაიყიდება საჯარო ვაჭრობით თვრამეტი უვარგისი ცხენები აღნიშნულ რაზმისა.

977. 1—1

ქალაქ ოზურგეთში მცხოვრებმა ქაიხოსრო გიგოს ძე ჯაყელმა განაცხადა, რომ მან გასულ ივნისის თვეში დაკარგა პენსიის წიგნაკი № 605, რომლითაც ის ღებულობდა პენსიას და პენსია კი აღებული ქონდა 1-ს ივნისამდე.

1248. 3—1

იულია იანეს ასული კლიმჩაკისამ დავკარგე უვადო პასპორტის წიგნაკი, რომელიც აღებული მქონდა ქალაქ ვარშავის პირველ ნაწილის ბოქაულისაგან 1915 წელს.

972 3—1

დაკარგულია სახელმწიფო ბანკის ხელწერილი № 54548, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

958 3—2

ცენტრალური სასურსათო საბჭო

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 24 ამა ივლისს შესდგება საჯარო ვაჭრობა ათას ცხრაას ფუთი თივის გასაყიდათ, რომელიც ინახება მეორე სასურსათო მაღაზიაში—ნავთლუღში. მსურველთ შეუძლიათ გასასყიდ თივის ნახვა ყოველ დღე.

1246 3—2

დავკარგე უვადო პასპორტი, რომელიც მოცემული მქონდა ქალაქ მოსკოვის 1 სუშოვის სამილიციო კომისარიატიდან. თუ ვინმემ ნახოს ვთხოვ შემოიტანოს მე-8 კომისარიატში შალვა გომართელი.

962 3—2

მიხეილ დანიელის ძე ნეფედოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტრაპეზუნდის გამაგრებული რაიონის საინტენდანტოსგან 1918 წ. მარტის 7-ს მიცემული მოწმობა № 1133, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

923 3—3

ისაია პავლეს ძე ცერცვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ს. ხრეთის კომისარისგან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალო. ს

956 3—2

მაჰმედ იბრაგიმ გასან ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე 5.450 მ. და რევოლვერის „ვებელსკოტის“ ნებართვა № 49468, გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

951 3—3

თანახმად ს. დ. 846, 847, 848 და 851 მ. მ. ტფილისის საგანგებო სასამართლოს დადგენილებით იძებნება სოლომონ ბიძინაშვილი, რომელსაც ბრალი ედება ს. ს. დ. 1629, 1632 მ. მ. სოლომონ ალექსანდრეს ძე ყორღანოვი და არტემა დავითის ძე დალაქიშვილზედ ყაჩაღურად დაცემის შესახებ. ყველა, ვინც იცის ბიძინაშვილის ბინა მოვალეა შეატყობინოს სასამართლოს. ვის განკარგულებაშიც იმყოფება ქონება ბრალდებულის ბიძინაშვილისა, მოვალეა დაუყონებლივ გადასცეს სააპეკუნო გამგეობაში.

1187 1—2

შოღოკატა ბაგრატეს ძე ალადათიანეს აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 327, აღებული ქალაქის მილიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს:

959 3—1

დაკარგულია დამოქნის კვიტანცია № 6840, მიცემული ამერჯანის სახელზე, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

961 3—1

დაკარგულია დამოქნის კვიტანცია № 2918, მიცემული არაბაჯიანის სახელზე, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

961 3—1

თანახმად ს. დ. 846, 847, 848 და 851 მ. მ. ტფილისის საგანგებო სასამართლოს დადგენილებით იძებნება ტიგრან ტატევოსის ძე დევოიანცი, რომელსაც ბრალი ედება გათვალისწინებულ 271 მ. XXII წ. ს. ს. წ. 1869 წ. ბრალდებულის ნიშნები: 33 წლისა, შუა ტანისა, შავი თმა-წარბი, წვერ მოპარსული, შავ ულვაშიანი, სუფთა პირი სახე, ჩასხმული ოქროს კბილები, ცოლიანი. ყველა, ვინც იცის დევოიანცის ბინა მოვალეა შეატყობინოს სასამართლოს. ვის განკარგულებაშიც იმყოფება ქონება ბრალდებულის დევოიანცისა, მოვალეა დაუყონებლივ გასცეს სააპეკუნო განყოფილებაში.

1185 1—1